**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**
**სატრანსპორტო საკითხთა კომისიის**
**სხდომის ოქმი №56**

15.04.2025 თბილისი, თავისუფლების მოედანი №2
10:30 საათი

<u>**სხდომას ესწრებოდნენ:**</u>

1. შალვა ოგბაიძე - კომისიის თავმჯდომარე;
2. გიორგი ახვლედიანი - კომისიის წევრი;
3. ვიტალი ონიანი - კომისიის წევრი;
4. მარიამ ზაქარიაშვილი - კომისიის წევრი.

**სხდომის დღის წესრიგი:**

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ **(12-0325058100-03; 27.02.2025);**

2. თბილისის მეტროს რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში განხორციელებული და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის მოსმენა.

**მომხსენებელი:**

- **ლევან მიქავა** - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;
- **გია ხუცურაული** - შპს ,,თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ მეტროპოლიტენის და საბაგირო გზების ექსპლუატაციის დირექტორი.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

**შ.ოგბაიძემ** სხდომა გახსნილად გამოაცხადა და მომხსენებელს სთხოვა, წარედგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი.

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ **(12-0325058100-03; 27.02.2025):**

**ლ.მიქავა** მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და წარადგინა დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხი, როგორც მან განმარტა, წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შემოსულობების გეგმა განისაზღვრა 1 877,892.3 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1 989,330.5 ათასი ლარი, ანუ გეგმის 105.9%.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული შემოსავლების გეგმა 1 787,117.7 ათასი ლარი, ფაქტიურად 1 880,549.8 ათასი ლარით შესრულდა, რამაც გეგმის 105.2% და მთლიანი შემოსულობების 94.5% შეადგინა.

როგორც მან აღნიშნა, საანგარიშო პერიოდში გრანტების სახით ბიუჯეტში ჩარიცხულია 518,493.4 ათასი ლარი. მათ შორის სპეციალური ტრანსფერი – 500,000.0 ათასი ლარი, საიდანაც დაფინანსდა ისეთი ღონისძიებები როგორიცაა - M3 კატეგორიის ავტობუსების (160 ერთეული 18 მეტრიანი) შესაძენად ვალდებულების ნაწილის და დამატებით 40 ერთეული M3 კატეგორიის ავტობუსის შესაძენად ავანსის დაფარვა, მეტროპოლიტენის ინფრასტრუქტურის განახლება-რეაბილიტაციის მიზნით ესკალატორის ნაწილების შეძენა, 18 მეტრიანი M3 კატეგორიის ავტობუსებისათვის რიგით მეოთხე ახალი ავტობაზის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა და სამშენებლო სამუშაოები, ასევე, სხვა მნიშვნელოვანი პროექტები.

ადმინისტრაციული მოსაკრებლებიდან და გადასახდელებიდან მიღებულია 182,904.2 ათასი ლარი, რაც გეგმის 111.9%-ია. მათ შორის მოსაკრებელი საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით - ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის ნებართვაზე - 5,624.7 ათასი ლარს შეადგენს.

**ლ. მიქავამ** ასევე აღნიშნა, რომ სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) მიღებულმა შემოსავლებმა მთლიანობაში 125,556.9 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 109.2%-ია. მათ შორის ჯარიმები დედაქალაქის ტერიტორიაზე ავტოტრანსპორტის პარკირების წესების დარღვევის გამო - 17,031.4 ათასი ლარი, საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების დარღვევით ან შესაბამისი ნებართვის გარეშე განხორციელებისათვის - 3,692.8 ათასი ლარი, დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობისთვის განკუთვნილ სპეციალურ ზოლში (BUS LANE) სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებების გარდა სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის, გაჩერების ან დგომისათვის - 2,623.8 ათასი ლარი, დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ველობილიკზე ან ველოსიპედის მოძრაობის ზოლზე ველოსიპედის გარდა სხვა სახის სატრანსპორტო საშუალების (გარდა საქართველოს კანონმდებლობით დაშვებული გამონაკლისებისა) მოძრაობის, გაჩერების ან დგომისათვის წინასწარი შეცნობით სატრანსპორტო საშუალების გზაზე გაჩერების ან დგომისათვის სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის ნომრის (სახელმწიფო სანომრე ნიშნის ან ნიშნების), შიდა ტრანზიტის, ტრანზიტული ნომრის ან „TEST“ ნომრის გარეშე - 2,478.2 ათასი ლარი. ავტომობილის გაჩერების წესების გათვალისწინებული მოთხოვნების დაუცველობისათვის - 16,052.5 ათასი ლარი, საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის პირობების დარღვევის გამო - 288.2 ათასი ლარი, უბილეთო მგზავრობის გამო - 2,821.6 ათასი ლარი.

„სუბსიდიების" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 702,272.8 ათასი ლარით. „სუბსიდიების" მუხლიდან დაფინანსებული იქნა საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის (მეტრო, M2 და M3 კატეგორიის ავტობუსი, საბაგირო) სუბსიდია - 290,889.5 ათასი ლარის ოდენობით.

„სხვა ხარჯების" მუხლიდან დაფინანსებულია ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორიცაა, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების, მშენებლობა - აღდგენის ღონისძიებები - 166,808.0 ათასი ლარის ოდენობით.

სესხების მომსახურებისა და დაფარვისათვის საანგარიშო პერიოდში გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 40,191.4 ათასი ლარი, უნდა აღინიშნოს, რომ თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურება 2024 წელს დაფინანსდა - 12 580,3 ათასი ლარით, თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურება II ფაზა - 21 961,0 ათასი ლარით, მდგრადი ურბანული მობილობა - გონიერი სატრანსპორტო სისტემა (KfW) - 415,1 ათასი ლარით, თბილისის მეტროს სადგურების მოდერნიზაციის პროექტის სესხის მომსახურება - 487,7 ათასი ლარით.

**ლ. მიქავამ** განმარტა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით საანგარიშო პერიოდში სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენის პრიორიტეტი დაფინანსდა 636,739.1 ათასი ლარით, რაც გეგმის 94.6%-ს შეადგენს.

პრიორიტეტის ფარგლებში, დაფინანსდა შემდეგი პროგრამები/ქვეპროგრამები:

- **ტრანსპორტის განვითარების პროგრამა (01 02)** - 483,020.7 ათასი ლარით;
- **ქვეპროგრამა სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები (ქვეპროგრამის კოდი 01 02 01)** - 65,904.7 ათასი ლარით.
- **ქვეპროგრამა საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია (ქვეპროგრამის კოდი 01 02 02) -** 2024 წლის გეგმა - 9,691.4 ათასი ლარი, 9,681.1 ათასი ლარით დაფინანსდა (კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი), რაც გეგმის 99.9%-ს შეადგენს.
- **მეტროს სადგურების რეკონსტრუქცია, მშენებლობა (ქვეპროგრამის კოდი 01 02 03) -** 2024 წლის გეგმა - 2,916.7 ათასი ლარი, დაფინანსდა - 2,783.3 ათასი ლარით (კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი), რაც გეგმის 95.4%-ია.
- **თბილისის ავტობუსების პარკის განახლება - შევსება (ქვეპროგრამის კოდი 01 02 04) -** 2024 წლის გეგმა - 118,119.9 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით (კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი).
- **საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდია (ქვეპროგრამის კოდი 01 02 05) -** 2024 წლის გეგმა - 315,070.4 ათასი ლარი, დაფინანსდა - 290,889.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 92.3%-ია.

- **საქალაქო საბაგირო ტრანსპორტის განვითარება (ქვეპროგრამის კოდი 01 02 08)** - 2024 წლის გეგმა - 1,232.2 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით (კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი).

- **სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო (ქვეპროგრამის კოდი 10 18) -** საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა ასიგნებებმა შეადგინა 24,167.3 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ - 21,021.3 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 87% და 2023 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 8,236.0 ათასი ლარით მეტია.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 4, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0), კომისიამ დაადგინა:

- **,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ“ (12-0325058100-03; 27.02.2025) განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.**

**2. თბილისის მეტროს რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში განხორციელებული და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის მოსმენა:**

შპს ,,თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ მეტროპოლიტენის და საბაგირო გზების ექსპლუატაციის დირექტორმა **გ.ხუცურაულმა** კომისიის წევრებს თბილისის მეტროს რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში განხორციელებული და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ მიაწოდა ინფორმაცია.

**გ.ხუცურაულმა** თავდაპირველად რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხზე გაამახვილა ყურადღება. როგორც მან აღნიშნა, მეტროს ყოველწლიურად გადაჰყავს 150,5 მილიონ მგზავრზე მეტი. დედაქალაქს ემსახურება 23 მეტროსადგური, მეტროს ქსელი შეადგენს 27,6 კილომეტრს, ფუნქციონირებს 62 ესკალატორი და მეტროს 192 ვაგონი.

მან ასევე წარმოადგინა შემდეგი ინფორმაცია: 2022-2025 წლებში განხორციელდა სალიანდაგო და გვირაბის სამუშაოები, შეიცვალა 13 720 მეტრი რელსი, რკინა-ბეტონის 2105 და ხის 2040 შპალი, გამრეცხი აგრეგატით 202-ჯერ გაირეცხა გვირაბები, წყალმომცილებელი ღარიდან მონგრეული იქნა მარილები გვირაბის 21,1 კმ სიგრძეზე, ჭირხნითი სამუშაოები ჩატარდა გვირაბის 212 მ სიგრძის უბნებზე, გაჯანსაღდა კოროზირებული ბეტონი და აღდგენილი იქნა წყალმომცილებელი არხები გვირაბის 173 მეტრ სიგრძეზე.

რაც შეეხება ჩატარებულ ელ. მომარაგების სამუშაოებს, ხაზის გამმართველ 21 აგრეგატზე დამონტაჟდა დიფერენციალური დაცვის მომსახურება, ძველი ელექტრომაგნიტური 66 ამომრთველი შეიცვალა თანამედროვე VS1-12 ტიპის ვაკუუმური ამომრთველებით, კაპიტალური შეკეთება ჩაუტარდა 5 ტრანსფორმატორს, სს „თელასის“ ქვესადგურ „მახათას“ - შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ ს/შ №35-თან დამაკავშირებელი მაღალი ძაბვის კაბელების სარეაბილიტაციო სამუშაოებისას შეიცვალა ჯამში 2292 მეტრი კაბელი, ღია ტრასაზე შეიცვალა 1131 მ 825 ვოლტის კაბელი.

**მომხსენებელმა** მიმდინარე სამუშაოების ფარგლებში ისეთ საკითხებზე გაამახვილა ყურადღება, როგორიცაა: რუსთაველის გამზირი - მთაწმინდის დამაკავშირებელი საბაგირო გზის აღდგენა, რიყე-ნარიყალას საბაგირო გზის ძველი ბაგირის შეცვლა ახლით, მთავარი ელექტრო ძრავის შეკეთება და ა.შ.

მისი თქმით, მიმდინარე პროექტების ფარგლებში, იგეგმება მეტროს 97 ვაგონის შესყიდვა, 12 მეტროსადგურის რეაბილიტაცია, მეტროს სადგურებში ხელმისაწვდომობის და ინკლუზიური მობილობის გაზრდა.

პრეზენტაციის დასასრულს, **გ.ხუცურაულმა** როგორც დასრულებული პროექტების მნიშვნელობაზე, ასევე სამომავლო გეგმების თაობაზე დეტალურად ისაუბრა.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

შალვა ოგბაიძე